



EcoMode

Fostering Eco-Innovative Business Model Development in SMEs in Hospitality Industry (EcoMode)

© ITALY, TRAINING 2000 (COORDINATOR) © GEORGIA, GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY © AUSTRIA, BIT-MANAGEMENT BERATUNG GESMBH © TURKEY, MUĞLA SITKI KOCMAN UNIVERSITY © HUNGARY, PANNON EGYETEM



შედეგი 1 - EcoMode წარმატებული მაგალითების შეგროვება ECO- ინოვაციურ სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიაში

სარჩევი

1. შესავალი	2
2. Ecomode	3
2.1. სტუმარმასპინძლობის ინდუსტრია	4
2.2. ინოვაციური პროდუქტი/სერვისი	4
2.3. ინოვაციური პროცესი	4
2.4. ორგანიზაციული ინოვაცია	5
2.5. ინოვაციური მარკეტინგი	5
2.6. ეკო-ინოვაციური გადაწყვეტილებები	6
3. საუკეთესო პრაქტიკების კოლექცია	6
3.1. ინოვაციური პროდუქტი/სერვისი	6
3.2. ინოვაციური პროცესი	11
3.3. ორგანიზაციული ინოვაცია	15
3.4. ინოვაციური მარკეტინგი	17
3.5. ეკო-ინოვაციური გადაწყვეტილებები	19
4. შედეგები მიღებული საუკეთესო პრაქტიკებიდან	23
5. დასკვნები	25

1. შესავალი

Ecomode-ის საუკეთესო პრაქტიკები - შედეგი 1 მოიცავს საუკეთესო პრაქტიკების აღწერას ეკო-ინოვაციურ ბიზნეს-მოდელისათვის, რათა უზრუნველყოს Ecomode პროექტისა და მისი შედეგების რეალიზაციის მაღალი ხარისხი. განხილული საუკეთესო პრაქტიკები გვიჩვენებს პარტნიორი ქვეყნების (ავსტრია, უნგრეთი, იტალია, საქართველო და თურქეთი) სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიაში მცირე ბიზნესის განვითარების ეკო-ინოვაციური ბიზნეს-მოდელის, როგორც დამატებითი ღირებულებების შექმნის მნიშვნელობას.

ამ სამუშაოს მიზანია ეკო ინოვაციების და ბიზნეს მოდელების თვალსაზრისით საუკეთესო პრაქტიკების გაერთიანება სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიაში მცირე და საშუალო ბიზნესისათვის არსებულ სტანდარტულ გამოცდილებასთან ერთად, რომელიც გამოყენებული იქნება სასწავლო მეთოდისა და სერტიფიცირებაში.

2. Ecomode

სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიაში მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ეკო-ინოვაციური ბიზნეს მოდელის საუკეთესო პრაქტიკების კოლექცია ეფუძნება რიგ აკადემიურ განმარტებებს ინოვაციის სახეობიდან გამომდინარე.

ეკოინოვაცია აერთიანებს ერთმანეთში ინოვაციას პროდუქტის ან სერვისის სახით, ინოვაციურ პროცესებს, მარკეტინგულ და ორგანიზაციულ ინოვაციებს, ეკო-ინოვაციურ გადაწყვეტილებებს. საუკეთესო პრაქტიკების აღნიშნულ კოლექციაში ინოვაციის თითოეული სახეობაა განხილული და დეტალურად ახსნილი.

2.1. სტუმარმასპინძლობის ინდუსტრია

სტუმარმასპინძლობის ინდუსტრია მიეკუთვნება მომსახურების სფეროში მიმართულებების ფართო კატეგორიას; ის მოიცავს განთავსებას, რესტორნებს, ღონისძიებების დაგეგმვას, თემატურ პარკებს, ტრანსპორტირების, საკრუიზო ხაზის და ტურიზმის სექტორთან დაკავშირებულ სხვა სფეროებს.

ფოკუსირებულია მომხმარებლების დაკმაყოფილებაზე და მისთვის კონკრეტული გამოცდილების გაზიარებაზე.

სტუმარმასპინძლობა ძირითადად დამოკიდებულია მომხმარებლის თავისუფალ დროსა და მის განკარგულებაში არსებულ შემოსავალის ოდენობაზე, რადგან ისინი წარმოადგენს ორ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც ტურისტებს შვებულებაში გასვლის საშუალებას აძლევს.

2.2. ინოვაციური პროდუქტი/სერვისი

პროდუქტის ინოვაცია არის საქონლის ან მომსახურების შემოტანა, რომელიც არის ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული მახასიათებლების გამოყენების თვალსაზრისით.

ის მოიცავს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას ტექნიკური სპეციფიკაციების, მასალების, კომპონენტების, ჩაშენებული პროგრამული უზრუნველყოფის, მოხერხებული გამოყენების ან სხვა მახასიათებლების სახით.

პროდუქტის ინოვაცია შეიძლება დაკავშირებული იყოს ახალ პროდუქტებთან ან არსებული პროდუქტის ახლებურ გამოყენებასთან.

2.3. ინოვაციური პროცესი

პროცესის ინოვაცია არის ახლებურად შესრულებული ნაწარმის, ან მისი მიწოდების ახალი, ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული ფორმა. ის შეიძლება მოიცავდეს

"The European Commission support for the production of this publication does not constitute an endorsement of the contents which reflects the views only of the authors, and the Commission cannot be held responsible for any use which may be made of the information contained therein."



ცვლილებებს ტექნიკურ აღჭურვილობაში და/ან პროგრამულ უზრუნველყოფაში. ასეთი ინოვაცია შეიძლება დაიგეგმოს, რათა მოხდეს:

- ნაწარმის ან მიწოდების დანახარჯების შემცირება;
- ხარისხის გაზრდა;
- გამოშვება ან მიწოდება ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქციისა;
- პროცესის ინოვაცია შეიძლება მოიცავდეს, როგორც წარმოების, ასევე მიწოდების მეთოდებს.

2.4. ორგანიზაციული ინოვაცია

ორგანიზაციული ინოვაცია არის ახალი მეთოდის დასრულება ბიზნეს საქმიანობაში, სამუშაო ადგილის მოწყობაში ან საგარეო ურთიერთობებში. ის მოიცავს პროცესებს, რომლებსაც მიჰყავთ წარმოებისა და მენეჯმენტის ახალი მოდელების შექმნასა და დანერგვასთან. ის არ არის დაკავშირებული მხოლოდ წარმოებასთან, არამედ ასევე მატერიალურ და არამატერიალურ რესურსებთან.

2.5. ინოვაციური მარკეტინგი

მარკეტინგის ინოვაცია ეხება ახალი მარკეტინგული მეთოდის (იდეა ან სტრატეგია) მიღებას, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან ცვლილებებს პროდუქტის დიზაინსა და შეფუთვაში, პროდუქტის განთავსებაში, პროდუქტის პოპულარიზაციაში ან განფასებაში. იმისათვის რომ მარკეტინგულ ინოვაციდ იყოს განსაზღვრული წარმოდგენილი მეთოდი მნიშვნელოვნად უნდა განსხვავდებოდეს კომპანიის მიერ გამოყენებული წინა ვერსიებისგან.



2.6. ეკო ინოვაციური გადაწყვეტილებები

ეკო-ინოვაცია გამოხატავს ნებისმიერი სახის ინოვაციას, რომელიც მიმართულია მდგრადი განვითარებისკენ. ამისათვის აუცილებელია წარმოების გარემოზე ზემოქმედების რეჟიმების შემცირება გარემოს გაძლიერება ბუნებრივი რესურსების უკეთესად გამოყენების მიზნით.

მსოფლიოს წინაშე დგას მნიშვნელოვანი და სერიოზული გარემოს დაცვითი გამოწვევები, ამიტომ ჩვენ უნდა შევქმნათ მკაფიო და მნიშვნელოვანი გარემოს დაცვითი სარგებელი ახალი და ეფექტური სოციალური მოდელები, ტექნოლოგიები და ეკონომიკა.

მდგრადი გადაწყვეტილებები მნიშვნელოვანია ძვირფასი რესურსების უკეთესად გამოყენებისა და ეკონომიკის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების თვალსაზრისით.

3. საუკეთესო პრაქტიკის კოლექცია

პროექტის თითოეულმა პარტნიორმა მიიღო მონაწილეობა საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების შეგროვებაში საკუთარ ქვეყანაში. კარგი პრაქტიკები შეირჩა გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით: პროდუქტი/სერვისი ინოვაცია; პროცესის ინოვაცია; მარკეტინგული ინოვაცია; ორგანიზაციული ინოვაცია და ეკო-ინოვაციური გადაწყვეტილებები. საერთო ჯამში, 58 საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი შეგროვდა სხვადასხვა ქვეყნიდან, რომელიც მოიცავდა 12 სხვადასხვა მცირე და საშუალო საწარმოს სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიიდან.

3.1. ინოვაციური პროდუქტი/სერვისი

პროდუქტის/მომსახურების ინოვაციის სფეროში კარგმა პრაქტიკამ წარმოაჩინა შემდეგი:

- თუ ორივე კომპონენტი - გარემოს დაცვითი მდგრადობა და ცხოვრების კომფორტი არის მოწოდებული, ადამიანები ირჩევენ განთავსებასთან დაკავში-

რებულ სერვისს, რომლითაც ერთდროულად ხელს უწყობენ გარემოს დაცვისა და ეკო-განთავსების თანმხლებ პროცესებს.

- სამშენებლო მასალებზე ყურადღების გამახვილებამ შეიძლება გაზარდოს ენერგო ეფექტურობა;
- კერძოდ, ის რომ რადონის გაზისაგან განთავისუფლებული სამშენებლო მასალები და/ან ფორმალდეჰიდისგან განთავისუფლებული ავეჯის გამოყენება და ხის სამშენებლო მასალა ადვილად დასანერგია და არის უმნიშვნელოდ გამვირებული ღონისძიება შიდა სივრცის ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების შემცირებისათვის.
- რეგიონული პროდუქციის წახალისება, რომელიც გარემოს დაცვით ასპექტებს ითვალისწინებს, მცირე ძალისხმევას მდგრადობის უზრუნველყოფის მიმართულებით, რომელმაც შეიძლება მოიტანოს დიდი სარგებელი.
- ენერგო ეფექტური განათების კონცეფციის გამოყენება (LED, სინათლის გამორთვა) არის ადვილად დასანერგი ღონისძიება და შეუძლია შეამციროს ელექტროენერჯის მოხმარება 60% -მდე;
- ოთახებში მრავალჯერადი საპნის ჩამოსასხმელების გამოყენება, და არაერთჯერადი შეფუთვები საუზმეზე (თაფლი, ჯემი, იოგურტი და ა.შ.) არის ძალიან მარტივი განსახორციელებელი და გაცილებით იაფი პლასტიკური შეფუთვის მასალის რაოდენობის შემცირების თვალსაზრისით;
- თუ სტუმარმასპინძლობის ორგანიზაციების მფლობელებმა და პერსონალმა ხელი შეუწყვეს ადგილობრივი და ორგანული წარმოების პროდუქტების გამოყენებას თავიანთ სასტუმროებში, ნარჩენები და შესაფუთი პლასტიკური მასალები დიდი რაოდენობით შეიძლება შემცირდეს;
- სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიაში სათავსოების მშენებლობამ გეოგრაფიული მხარეების გათვალისწინებით და ფართო შუშის ზედაპირების გამოყენებით, შეიძლება შეამციროს ენერჯის დახარჯები.

საუკეთესო პრაქტიკები პროდუქტი/სერვისის ინოვაციაში		
კომპანიის დასახელება / პროექტის დასახელება, ინიციატივა და ა.შ	თემა და მისი მოკლე შინაარსი	
იტალია	<p>Gallo Senone - ფერმა-კურორტი, მდებარეობს მარკეს რეგიონში და უკავია ფერდობის 2.7 ჰექტარზე მეტი ფართი, თანამედროვე, კომფორტული და ელეგანტური დიზაინით დაპროექტებული მყუდრო ოთახები, გაწყობილი ინდივიდუალური ავეჯით. კურორტი არის პირველი სასტუმრო Marche ს რეგიონში, რომელსაც მიღებული აქვს Clima Hotel (კლიმატური სახლი) სერტიფიკატი, რაც ნიშნავს ენერგოეფექტურობას, ეკოლოგიურ არქიტექტურას და ტრადიციებს, ბუნებრივ მასალებსა და ადგილობრივ ხელნაკეთობებს.</p>	<p>შიდა სივრცის ჰაერის ხარისხი - VOC და ფორმალდეჰიდი</p>
	<p>Airone სოფლის სახლი - განლაგებულია მარკეს რეგიონში, რომელიც საუკუნეებით თარიღდება. ის შედგება 3 ოთახისგან. თითოეული აღჭურვილი აბაზანით, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანების საჭიროებებზე გათვლილი მცირე დამოუკიდებელი აპარტამენტისგან, თავისი აბაზანითა და სამზარეულოთი. სრულად აღჭურვილი რესტორანისა და სამზარეულოსგან, გარეთა სივრცეში მოწყობილი საცურაო აუზისგან, გრილისგან, გაზონებითა და სათამაშო სივრცისაგან. ოთახები დაპროექტებულია ეკოლოგიური მდგრადობის გათვალისწინებით, ფენ-შუის(feng-shui) პრინციპების შესაბამისად. ის გთავაზობთ ორგანული პროდუქტების რესტორანსა და აუზს ცხელი ჰიდრომასაჟის აბაზანით. Airone სოფლის სახლი რეკომენდირებულია გარემოსდაცვითი მიზნებისთვის. მას მინიჭებული აქვს ევროკავშირის ეკო ნიშანი და არის წევრი მსოფლიო ეკოსასტუმროს ნიშნის გაერთიანებისა.</p>	<p>შიდა სივრცის ჰაერის და VOC -ის რედაქცია</p>
	<p>საცხოვრებელი კომფორტი - ხმაგაუმტარი ინტერიერები</p>	



საქართველო	<p>ეკო-კოტეჯების სასტუმრო ტიმოთეს უბანში, ევროკავშირის გრანტის დაფინანსებით იქნა აღჭურვილი ჰელიოსისტემით.</p>	<p>სასტუმრო მოწყობილია გარემოს დაცვითი ფაქტორების გათვალისწინებით, სასტუმრო წარმოაჩენს დედამიწის შენარჩუნების შესაძლებლობებს მარტივად და სასიამოვნოდ.</p>
	<p>ეკო სასტუმრო მზეთამზე ავტომობილით მგზავრობისას მდებარეობს</p> <ul style="list-style-type: none"> - თბილისის აეროპორტიდან 3 საათის სავალში - ავტობუსის გაჩერებიდან 15 წუთის სავალში - რკინიგზის სადგურიდან 25 წუთი სავალში 	<p>სამშენებლო მასალა და შიგნით გამოყენებული მასალა ეკოლოგიურად სუფთ პროდუქტია, სადაც ძირითადად გამოიყენება ხე.</p>
	<p>ნატურისხე. დასასვენებელი სახლი - ნატურის ხე (სურვილების ხე) მდებარეობს. წაღვერში, რომელიც არის ბორჯომის რაიონის მინერალური წყლების კურორტი. მოიცავს მინერალურ წყაროებს, უძვირფასეს ჰაერს, გაჯერებულს ხეების რკინანარევი არომატით, შუასაუკუნოვან ისტორიულ ძეგლებს.</p>	<p>სასტუმრო გთავაზობთ ორიგინალურ დიზაინსა და ფართო განათებულ ოთახებს, ბარისა და ბუხრის სივრცეს.</p>
	<p>არქიტექტურული სტუდია ძველ თბილისში - მუშაობს მხოლოდ Airbnb - ის პლატფორმაზე</p>	<p>აპარტამენტი ფოკუსირებულია გარემოსთან გაძლიერებულ კონტაქტზე. რომელიც ღიაა თბილ ამინდში და დახურულია ზამთრის პერიოდში. მასალა სახლისა არის გამომწვარი აგური, რომლის თბოგამტარუნარიანობა საკმაოდ მცირეა და ეკოლოგიურად სუფთაა. სახლი მდებარეობს ფერდობზე, სადაც ჰაერი უფრო სუფთაა, ვიდრე ქალაქის ცენტრში.</p>

"The European Commission support for the production of this publication does not constitute an endorsement of the contents which reflects the views only of the authors, and the Commission cannot be held responsible for any use which may be made of the information contained therein."

<p>თურქეთი</p>	<p>Mandalinის აპარტამენტები თქვენს სასტუმროში ქმნიან მწვანე გუნდს, რომლის მიზანია უწყვეტი განვითარება და ემყარება რე-ეკოლუციასა და ანგარიშს.</p>	<p>Mandalin აპარტამენტები განლაგებულია ულამაზესი, მწვანე ნუშიისა და მანდარინების ხეების შუაგულში. Palamutbükü Datça, Muğlas მხარეში. მშენებლობის პროცესში არცერთი ხე არ მოჭრილა და დაცემულა ძირს. Mandalin აპარტამენტები პირველ რიგში სივრცეა, მხოლოდ მდგრადი მწვანე აპარტამენტი, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივ საცხოვრებელ გარემოს მდგრადობას ცხოველებისათვის, რასაც უზრუნველყოს თავისი სერვისების საშუალებით. სანამ თქვენ პატარა ბაღში მუშაობთ ან სეირნობთ, თქვენ დაინახავთ მოჭიკჭიკე ფრინველებს, რასაც კიდევ უფრო ამშვენებს მოხტუნავე ციყვი ან ფარშავანგი. Mandalin აპარტამენტები მიზნად ისახავს მწვანე ვარსკვლავის სერტიფიკატის მიღებას ტურიზმისაგან და ამიტომაც აპარტამენტები ცდილობენ შეამცირონ მოხმარება და ენერგონარჩენები - დაბინძურებული წყალი და მავნე ნივთიერებები. ენერგოეფექტურობის გაზრდას, განახლებადი ენერჯის რესურსების გამოყენების წახალისება; დაგეგმვა და კონსულტაციები განთავსების სათავსოების საჭიროებებისთვის, რომ ის იყოს ეკოლოგიურ და სუფთა გარემოსთან შერწყმული; ლანდშაფტის მოწყობა და სხვა ღონისძიებები; ეკოლოგიური არქიტექტურა; გარემოს დაცულობის გაზრდა; ტრენინგებით უზრუნველყოფა და შესაბამის უნივერსიტეტებთანა კოოპერირება.</p>
----------------	--	--

"The European Commission support for the production of this publication does not constitute an endorsement of the contents which reflects the views only of the authors, and the Commission cannot be held responsible for any use which may be made of the information contained therein."

უნგრეთი	Kistücsök რესტორანი (Balatonszemes)	კვებასთან ერთად, შემოთავაზებული მომსახურების გაფართოება. დირექტორს სურს რესტორნის გვერდით 4 ვარსვლავიანი სასტუმროს და მაღაზიის მშენებლობა, სადაც ისინი შესთავაზებენ ადგილობრივ პროდუქციას.
ავსტრია	რამადა გრაც სასტუმრო Hotel Ramada Graz	ენერგოეფექტურობა და მდგრადობა
	რეტერ სემინარ სასტუმრო - რესტორანი Retter Seminar-Hotel-Restaurant	მდგრადი ენერგოეფექტურობა და გამოყენების სფეროების გაზრდა
	განთავსება საუზმით Hotel Süd Accomodation with breakfast	მდგრადობა. ნარჩენების გადამუშავება და ენერგოეფექტურობა.

3.2. ინოვაციური პროცესი

კარგმა პრაქტიკებმა პროცესის ინოვაციურ გარემოში წარმოაჩინეს შემდეგი:

- გათბობა და ელექტროენერგია შეიძლება იყოს გამოყენებული სუფთა და ნაკლებად ძვირი ელექტროენერგიისა და გათბობის გამოსამუშავებლად. განახლებადი ენერგიების გამოყენების ინოვაციური ტექნოლოგიების მეშვეობით, წვიმის წყალი შეიძლება იყოს შეგროვილი და გამოყენებული ტუალეტებში ჩასარეცხად, ბაღების მოსარწყავად, რაც გამოიწვევს წყლის ახლებურ გამოყენებას;
- მდგრადი საშხაპებისა და მიქსერების გამოყენებით შეიძლება შემცირდეს წყლის დანახარჯი 6-8 ლ/წთ-ში. თუ განთავსების ყველა ბიზნესში დაყენებული იქნება მდგრადი საშხაპე წყლის დანახარჯები მასიურად შემცირდება;
- ზოგიერთი პროცესის მიმართ ყურადღების მიქცევით შეიძლება საგრძნობლად შემცირდეს კარბონის მავნე ზემოქმედება ჯანმრთელობაზე;
- რესტრუქტურიზაცია და სკურპულოზური გარდაქმნა, სუსტი ზემოქმედება და ნარჩენების წარმოების დაგეგმარებამ შეიძლება გაამუჯობესოს ენერგო ეფექტურობა და მდგრადობა;

"The European Commission support for the production of this publication does not constitute an endorsement of the contents which reflects the views only of the authors, and the Commission cannot be held responsible for any use which may be made of the information contained therein."



- სამშენებლო მასალის მიმართ ყურადღების გამახვილებამ, შეიძლება გაზარდოს ენერგოეფექტურობა;
- კარგი თერმული იზოლაცია ხელს უწყობს ენერჯის დაზოგვას;
- ენერჯის დაზოგვა და სუფთა ეკოლოგიური პროდუქტი მომავალში უნდა იყოს გამოყენებული ყველა განთავსებისთვის განკუთვნილ სათავსოებში, თუ გვინდა რომ პლანეტა შევინარჩუნოთ;
- სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიაში ინტელექტუალური სერვისის დამსახურებით კომპანიებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად დაზოგონ ენერჯია და მუშაობის დრო მობილური ტელეფონებით დამსვენებლებისათვის სხვადასხვა ოპერაციის კონტროლის საშუალებების მინიჭებით (ტემპერატურის მონიტორინგი, ფარდების გახსნა ან დახურვა);
- წყალშემკრები აუზებში, ასუფთავებენ წყალს სასმელ კონდიციამდე და ნარჩენების გადამუშავებას ეწევიან;
- თუ ნარჩენები გაიგზავნა ცხოველების თავშესაფარში, მათი რაოდენობა შეიძლება შემცირდეს და სოციალური პასუხისმგებლობა მკაცრად გაიზარდოს;
- ნაგვის ცივი ჰაერის სისტემით სტერილიზაცია და ნარჩენების დახარისხება (ქაღალდი, შუშა) ხელს შეუწყობს გარემოსდაცვასა და მდგრად განვითარებას;
- სტუმარმასპინძლობის კომპანიებს შეუძლიათ ჩაატარონ საკონტროლო-საექსპლუატაციო პროცედურები მომწოდებლებთან შეფუთვასთან დაკავშირებით და ამით შეამცირონ ნარჩენები;
- ნარჩენების სელექციის ოპტიმიზაცია შერჩევითობის გაზრდის გზით ხელს შეუწყობს ნარჩენების მნიშვნელოვან შემცირებას;
- თანამშრომლებსა და სტუმრებს შორის კარგი კომუნიკაციით, სასტუმროს კომპანიებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად შეამცირონ ქაღალდის, წყლისა და სხვა საქონლის გამოყენების რაოდენობა;

- ეკოლოგიურად სუფთა სარეცხი საშუალებების გამოყენებით ქიმიური საშუალებების მოხმარება შეიძლება შემცირდეს და უზრუნველყოფილი იყოს გარემოს დაცულობა.

საუკეთესო პრაქტიკები ინოვაციის პროცესში		
	კომპანიის სახელი / პროექტის სახელწოდება, ინიციატივა, სხვ.	თემის მოკლე შინაარსი
იტალია	Gallo Senone - ფერმა-კურორტი, მდებარეობს მარკეს რეგიონში და გავრცელებულია ფერდობის 2.7 ჰექტარზე მეტ ფართობზე, თანამედროვე, კომფორტული და ელეგანტური დიზაინით დაპროექტებული მყუდრო ოთახები, გაწყობილი ინდივიდუალური ავეჯით. კურორტი არის პირველი სასტუმრო Marche ს რეგიონში, რომელსაც მინიჭებული აქვს Clima Hotel (კლიმატური სახლი) სერტიფიკატი, რაც ნიშნავს ენერგოეფექტურობას, ეკოლოგიურ არქიტექტურას და ტრადიციებს, ბუნებრივ მასალებსა და ადგილობრივ ხელნაკეთობებს.	წყლის გამოყენების ინდექსი $Wkw \geq 35\%$
		კარბონის შემცველობა
		ენერგოეფექტური გათბობა
	Airone სოფლის სახლი - განლაგებულია მარკეს რეგიონში, რომელიც საუკუნეებით თარიღდება. ის შედგება 3 ოთახისგან. თითოეული აღჭურვილი აბაზანით, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანების საჭიროებებზე გათვლილ მცირე დამოუკიდებელი აპარტამენტისგან, აბაზანითა და სამზარეულოთი. სრულად აღჭურვილი რესტორანისა და სამზარეულოსგან, გარეთა სივრცეში მოწყობილი საცურაო აუზისგან, გრილისგან, გაზონებითა და სათამაშო სივრცით. ოთახები დაპროექტებულია ეკოლოგიური მდგრადობის გათვალისწინებით, ფენ-შუის პრინციპების შესაბამისად. ის გათვალისწინებულია ორგანული პროდუქტების რესტორანსა და აუზს ცხელი ჰიდრო მასაჟის აბაზანით.	ენერგო ეფექტურობა და ცხოვრების კომფორტი
		ენერგო ეფექტურობა თბოიზოლაცია
		თბო იზოლაცია
		ენერგოეფექტურობა - განახლებადი ენერჯია

"The European Commission support for the production of this publication does not constitute an endorsement of the contents which reflects the views only of the authors, and the Commission cannot be held responsible for any use which may be made of the information contained therein."

საქართველო	<p>ეკო კოტეჯები. საოჯახო ტიპის სასტუმრო მანქანით მდებარეობს თბილისის აეროპორტიდან 3 სთ-ის სავალში, ბორჯომის რკინიგზის სადგურიდან 30 წუთის სავალში, ავტობუსის გაჩერებიდან 5 წუთის სავალში</p>	<p>ეკო კოტეჯები მდებარეობს ბორჯომის რაიონის სოფელ ტიმოთეს უბანში 1100 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ზომიერი მთის ჰავა ჭარბობს, ისინი მდებარეობს ეკოლოგიურად სუფთა გარემოში, გვირგვინას მთის ძირში. გარშემორტყმულია ფიჭვისა და ნაძვის ტყით.</p>
	<p>ეკო სასტუმრო მზეთამზე განლაგებულია თბილისის სართაშორსო აეროპორტიდან მანქანით 3 სთ-ის სავალში, ავტობუსის გაჩერებიდან 15 წუთის, რკინიგზის სადგურიდან 25 წუთის სავალში</p>	<p>აღჭურვა ახალი ენერგოეფექტური ტექნოლოგიებით. შენობის შეთბუნების სერვისის მაღალი კომპლექსურობა. ჯანმრთელი საკვები, ეკოლოგიური ავეჯი და სამშენებლო მასალები.</p>
	<p>ნატურის ხე. ნატურის ხის დასასვენებელი სახლი წალვერში არის ნაწილი ბორჯომის რაიონის მინერალური წყლების კურორტებისა დაუვიწყარი ჰაერი გაჯერებულია რკინის შემცველი ხეების არმატით, შუა საუკუნეების ისტორიული ძეგლებით - ყველაფერი ეს შეგიძლიათ იპოვოთ წალვერში</p>	<p>აღჭურვილია მზის პანელებით ეკოლოგიურად სუფთა (შიგნით და გარეთ) გარემო</p>
	<p>არქიტექტურული სტუდია ძველ თბილისში</p>	<p>უზრუნველყოს სასიამოვნო ხედი, ფართო ბუნებრივი განათება, შთამბეჭდავი გარემო - თბილი ზამთარში და გრილი ზაფხულში. ამიტომ ენერგოდანაკარგები და კომუნალური გადასახადები არ არის მაღალი.</p>
თურქეთი	<p>შერატონ ანკარა ჰოტელი და კონფერენც დარბაზი/კვიანი სისტემები Sheraton Ankara Hotel & Convention Center/Smart systems</p>	<p>ენერჯია და დროის ეკონომია</p>
	<p>შერატონ ანკარა ჰოტელი და კონფერენც დარბაზი/ Sheraton Ankara Hotel & Convention Center/ ცხოველთა კეთილდღეობა</p>	<p>ნარჩენების გადამუშავება/სოციალური პასუხისმგებლობა</p>
	<p>შერატონ ანკარა ჰოტელი და კონფერენც დარბაზი/ ნარჩენების ბატარეები</p>	<p>ნარჩენების გადამუშავება/გარემოს დაცვა</p>
	<p>შერატონ ანკარა ჰოტელი და კონფერენც დარბაზი/ გამოყენებული ქაღალდის გადამუშავება</p>	<p>ნარჩენების გადამუშავება</p>

"The European Commission support for the production of this publication does not constitute an endorsement of the contents which reflects the views only of the authors, and the Commission cannot be held responsible for any use which may be made of the information contained therein."

	შერატონ ანკარა ჰოტელი და კონფერენც დარბაზი/ ნარჩენი ზეთების შეგროვება	ნარჩენებისგატანა
	შერატონ ანკარა ჰოტელი და კონფერენც დარბაზი/ სტერილური ნაგვის ოთახი	მდგრადობა/გარემოს დაცვა
	Sterile Garbage Room / წყლის გასუფთავების სისტემა	მდგრადობა
უზრეთი	Kistücsök რესტორანი	რესტორნის შემოთავაზება (სეზონური მენიუს ბარათი) და ჩვენი რეგიონის ჩვენი რეგიონის გემოვნება ყოველთვის იცვლება, ზოგადად ყოველ 2 - 3 თვეში
ავსტრია	Hotel Ramada Graz რამადა გრაცის სასტუმრო	რესურს-ეფექტურობის მდგრადობა
	Retter Seminar-სასტუმრო-რესტორანი	რესურს-ეფექტურობის მდგრადობა
	სასტუმრო Süd განთავსება საუზმით	ენერგოეფექტურობა, ნარჩენების გადამუშავება, ქიმიკატების შემცირება. ბუნებრივი მასალების შენარჩუნება.

3.3. ორგანიზაციული ინოვაცია

ორგანიზაციულ ინოვაციაში კარგმა პრაქტიკებმა წარმოაჩინეს შემდეგი:

ველოსიპედი მნიშვნელოვნად ამცირებს სატრანსპორტო საშუალებების გამონა-
ბოლქვს, ამცირებს შეფერხებებს მოძრაობაში და ნავთობპროდუქტის საჭიროებას. თავი-
ანთი სტუმრების უფასო საველოსიპედო სერვისის უზრუნველყოფით სტუმარმას-
პინძლობის კომპანიებს შეუძლიათ არა მხოლოდ მათი გამაჯანსაღებელი ღონისძიებების
გაზრდა, არამედ შეამცირონ ნახშირბადის გამოყოფის ოდენობა ჰაერში;

- სტუმარმასპინძლობის კომპანიებს შეუძლიათ თავიან სტუმრებს მისცენ
საშუალება შეაგროვონ საკუთარი ხელით ხილი მოსავლის აღების პერიოდში,
გაზარდონ მათი ცნობიერება სოფლის მეურნეობაში;

- გარემოს დაცვითი თემების განხილვას (ენერჯია, ნარჩენები, წყალი) სასწავლო შეკრებებზე სასტუმროებს შეუძლიათ გაზარდონ ცნობიერება უშუალოდ შენობაში მყოფი ყველა თანამშრომლისა და სტუმრებისა;
- თანამშრომლების ტრენინგი ხელს შეუწყობს უწყვეტი გაუმჯობესების პროცესს;
- ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება ხელს შეუწყობს გადაადგილებასთან დაკავშირებული CO2 ემისიების შემცირებას, დასაქმების ადგილამდე გასავლელი მოკლე მანძილის გამო;
- 100 პროცენტით ეკოლოგიურად სუფთა ელექტრომობილების გამოყენება მნიშვნელოვნად შეამცირებს CO₂ემისიების გამოყოფას.

საუკეთესო პრაქტიკები ორგანიზაციულ ინოვაციაში		
	კომპანიის სახელი / პროექტის სახელწოდება, ინიციატივა, სხვ.	თემა და მისი მოკლე შინაარსი
თულქეთი	Mandalin აპარტამენტები თავის სტუმრებში გარემოსდაცვითი ცნობიერების გაზრდის მიზნით სთავაზობს მათ ქალაქში ველოსიპედების უფასო გაქირავების სისტემას	გარემოს დაცვითი და მოხმარების პრობლემების გათვითცნობიერება
	Mandalin აპარტამენტები სთავაზობს თავის სტუმრებს სუფთა ზეთისხილის და ახალი ნუშის დაკრეფას	გარემოსდაცვითი და ბუნებასთან ურთიერთობის ჩვევების გამომუშავება
ავსტრია	სასტუმრო რამადა გრაზი Ramada Graz	ცნობადობის გაზრდა
	Retter Seminar-სასტუმრო-რესტორანი	ცნობადობის გაზრდა
	სასტუმრო Süd განთავსება საუზმით	თანამშრომელთა ტრენინგი ცნობადობის ასამაღლებლად

3.4. ინოვაციური მარკეტინგი

კარგმა პრაქტიკებმა სამარკეტინგო ინოვაციურ სფეროში წარმოაჩინეს შემდეგი:

- ეკოლოგიური სქემებისა და ეკო ნიშნების დაცვა შეიძლება იყოს დიფერენცირების ძლიერი საშუალება;
- ეკოლოგიურად სუფთა ღონისძიებებისა და სისტემების კარგმა ცოდნამ შეიძლება ხელი შეუწყოს მათ გათავისებას სტუმრებს შორის;
- გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებულ კონკურსებში მონაწილეობა შეიძლება იყოს კარგი საშუალება ორგანიზაციების ჩართულობის ხელშეწყობისა ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაში;
- გარემოსდაცვით სარგებლიანობასთან დაკავშირებული ეკოლოგიურად სუფთა რეკლამისა და მარკეტინგის დაწესება, რომელიც დაკავშირებულია პროდუქტების ან სერვისების გაყიდვასთან ან ეკო ინოვაციური გადაწყვეტილებების მიღებასთან და მოწოდებულია, როგორც სტუმრებისათვის განკუთვნილი საჩუქარი (თესლი და ფანქარი), დაეხმარება ორგანიზაციას წინსვლაში და გარემოსდაცვითი პრობლემებით დაინტერესებული ტურისტების მოზიდვაში;

საუკეთესო პრაქტიკები ინოვაციურ მარკეტინგში		
	კომპანიის სახელი / პროექტის სახელწოდება, ინიციატივა, სხვ.	თემა და მისი მოკლე შინაარსი
იტალია	Gallo Senone - მომხიბვლელი პლაჟებიდან 7 კმ-ში მდებარე ფერმერული კურორტი ფარავს მარკეს რეგიონის ფერდობების 2,7 ჰექტარს. თანამედროვე და კომფორტული, საინტერესო დიზაინით შექმნილი ინკლუზიური ავეჯით გაწყობილი ქმნის მყუდრო საცხოვრებელ გარემოს. კურორტი არის პირველი საცხოვრებელი ადგილი მარკეს მხარეში, რომელმაც მიიღო კლიმა სასტუმროების სერტიფიკატი, რაც ნიშნავს ენერგო ეფექტურობას, ეკოლოგიურ არქიტექტურასა და ტრადიციებს, ბუნებრივ მასალებს და ხელოსნის ადგილობრივ კვალიფიცირებულ შრომას.	Clima Hotel label კლიმა სასტუმროს ნიშანი
	Airone სოფლის სახლი განლაგებული მარკეს მხარეში. ოთახები დაგეგმარებულია ეკოლოგიური მდგრადობის პრინციპით, ფენგ-შუის პრინციპების მიხედვით. ის სთავაზობს რესტორანს ორგანული საკვებით და ცხელ ჭავლიან აუზს. Airone სოფლის სახლი არის რეკომენდებული გარემოსდაცვითი ვალდებულებების გააზრებისთვის. გააჩნია ევროკავშირის ეკო ნიშანი და არის წევრი ეკო მსოფლიო სასტუმროს ნიშნის გაერთიანებისა.	ეკო მსოფლიო სასტუმრო არის პირველი გაერთიანება ეკოლოგიური სასტუმროებისა და საწოლებისა და საუზმეებისა იტალიაში, რომელიც ნერგავს უნიკალურ და ინოვაციურ ფილოსოფიას ახალ პროექტში, რომელიც მიზნად ისახავს გარემოს დაცვას.
საქართველო	ეკო სასტუმრო მზეთამზე მდებარეობს თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან მანქანით: 3 საათის სავალში, ავტობუსის გაჩერებიდან 15 წუთის სავალში, რკინიგზის სადგურიდან 25 წუთის სავალში.	მრავალმხრივი მომსახურება, ეკოლოგიურად გამართული ქცევა. მოწოდების სერვისის ორგანიზება, ადგილობრივი პროდუქტის სისტემა, ხელშეწყობა მინერალური წყლებით სარგებლობაში

	ნატურისხე. დასასვენებელი სახლი - ნატურის ხე (იგივე სურვილების ხე) მდებარეობს. წალვერში, რომელიც არის ბორჯომის რაიონის მინერალური წყლების კურორტი. მოიცავს მინერალურ წყაროებს, უძვირფასეს ჰაერს, გაჯერებულს ხეების რკინის არომატით, შუასაუკუნოვან ისტორიული ძეგლებს.	მდებარეობს ქ.ბორჯომთან სუფთა ჰაერი, პარკი, ისტორიული მემკვიდრეობის ინფრასტრუქტურა მინერალური წყლების წყაროებით პარკის შიგნით უშუალო სიახლოვეშია განლაგებული. სასტუმრო აშენებულია ეკოლოგიური მასალით.
თურქეთი	Mandalin აპარტამენტები	ეკო-ინოვაციური კონცენტრაცია
უნგრეთი	Kistücsök რესტორანი (Balatonszemes)	რესტორანი მონაწილეობას ღებულობს რამდენიმე გასტრონომიულ მოვლენაში, როგორცაა ბალატონის წრე კასტრო პიკნიკის ღონისძიების სერია. მე ვფიქრობ, რომ ბაკუში დ'ო რესტორნის შესანიშნავი რეკლამაა.
ავსტრია	სასტუმრო რამადა გრაცი Ramada Graz	მდგრადობა
	სასტუმრო-რესტორანი - Retter Seminar	მარკეტინგი და ქველმოქმედება
	სასტუმრო Süd - განთავსება საუზმით	გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემა

3.5. ეკო-ინოვაციური გადაწყვეტილებები

კარგმა პრაქტიკებმა სამარკეტინგო ინოვაციურ სფეროში წარმოაჩინეს შემდეგი:

- თუ ორივე გარემოსდაცვითი მდგრადობა და საცხოვრებელი კომფორტი არიან მოწოდებული, ადამიანები ირჩევენ ისეთი ტიპის საცხოვრებელს, რომელშიც შედის ორივე - გარემოს დაცვა და ეკო საცხოვრებლის გაზრდილი ფართობი;
- დღეს ჭკვიანი აზროვნება, დაგეგმვა, ორგანიზება არის აუცილებელი, რათა გააუმჯობესოს მსოფლიოში საცხოვრებელი პირობები და გადაარჩინოს პლანეტა. მდგრადობა არის ერთ-ერთი საკვანძო საკითხი გადაწყვეტილების მიღების დროს. „იფიქრე გლობალურად/იმოქმედე ლოკალურად“;

- ბიომასით გათბობის სისტემა და დაბალ ტემპერატურული გათბობა. სითბოს შემომტანი ხის მორები და ოპტიმიზირებული ენერჯის კონცეფცია, ჭერის გაგრილება-გათბობა ხელს უწყობს წელიწადში 1mio.kg CO² ემისიების შემცირებას;
- PV სისტემის გამოყენება. სისტემის შემოწმება: ენერჯის პოტენციური დაზოგვა 105,000 kWh/CO² გადამუშავება 70 t/a შეიძლება დაეხმაროს ელექტროენერჯის მოხმარების შემცირებას, CO² ემისიების პროცესს და განახლებადი ენერჯების რესურსების გამოყენებას;
- ბალისთვლის წვიმის წყლის შეგროვების სისტემა შეამცირებს წყლის მოხმარებას;
- გუმბათოვანი განათება, სოლარული და LED ნათურები. საკონფრენციო ოთახები სავსეა სინათლით და სრულყოფილი კონტროლის ტექნოლოგიით, კარგი ხილვადობით, რომელიც ამცირებს ენერჯის მოხმარებას;
- ჰაერის კონდიციონერების ჩანაცვლება ხდება განიავებადი ჭერით - ეხმარება სასტუმროს ენერჯის მოხმარების შემცირებასა და გარემოსდაცვით მიდგომაში;
- უფასო ელექტრო დამტენი სისტემები ყველა ელექტრო მობილისთვის უნდა იყოს მისაწვდომი ყველა სტუმრისთვის უფასოდ, რათა უზრუნველყოს ელექტრომობილებით 100% სარგებლობა და CO² ემისიების შემცირება.

საუკეთესო პრაქტიკები ეკო-ინოვაციურ გადაწყვეტილებებში		
	კომპანიის სახელი / პროექტის სახელწოდება, ინიციატივა, სხვ.	თემა და მისი მოკლე შინაარსი
იტალია	Gallo Senone - ფერმა-კურორტი, მდებარეობს მარკეს რეგიონში და ფარავს ფერდობს 2.7 ჰექტარზე მეტი ფართით, თანამედროვე, კომფორტული და ელევანტური დიზაინით დაპროექტებული მყუდრო ოთახები, გაწყობილი ინდივიდუალური ავეჯით. კურორტი არის პირველი სასტუმრო Marche ს რეგიონში, რომელსაც მიღებული აქვს Clima Hotel (კლიმატური სახლი) სერტიფიკატი, რაც ნიშნავს ენერგოეფექტურობას, ეკოლოგიურ არქიტექტურას და ტრადიციებს, ბუნებრივ მასალებსა და ადგილობრივ ხელნაკეთობებს.	საცხოვრებელი კომფორტი სტუმრებისთვის
საქართველო	ეკო-კოტეჯების კომპლექსი ტიმოთეს უბანში. ისინი დააფინანსა ევროკავშირმა მიახლოებულია ECO- ის სტანდარტებთან, ენერგოეფექტურია, გამოყენებულია ბუნებრივი მასალები და ეკოლოგიურად სუფთა საკვები. ეკო-მომგებიანია ადგილმდებარეობა, ადგილობრივი რესურსების გამოყენება, ოპტიმალური, ენერგოეფექტური დაგეგმვა, ნარჩენების გამოყენება და გადამუშავება	სუფთა ჰაერი, ეკო-მომგებიანი, ენერგოეფექტური, ეკოლოგიურად სუფთა ინფრასტრუქტურა სამკურნალო ღირებულებებით
	ეკო-სასტუმრო მზეთამზე მდებარეობს: თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან 3 საათის სავალზე ავტობუსის სადგურიდან 15 წუთის სავალზე რკინიგზის სადგურიდან 25 წუთის სავალზე	მჭიდრო ურთიერთობა გარემოსთან, კარგად ორგანიზებული ეკო-ინტერიერი
	ნატურის ხე. დასასვენებელი სახლი - სასტუმრო "ნატურის ხე" (სურვილების ხე)	წყლის გამაცხელებელი მზის პანელები. ახლო მდებარეობა პარკთან და მინერალური წყალი. მას აქვს კარგი კავშირი სათხილამურო კურორტ ბაკურიანთან და კურორტ



		<p>ბორჯომთან სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალების გამოყენების საშუალება - ეკოლოგიურად სუფთა მატარებელი, ავტომობილი, ავტობუსი.</p>
	არქიტექტურული სტუდია თბილისში	<p>ბუნებრივ გარემოსთან სიახლოვე ლოჯის შიდა სივრცის აივნის სივრცედ ტრანსფორმაციის შესაძლებლობა და პირიქით, ფართო ბუნებრივი განათება</p>
თურქეთი	Mandalin აპარტამენტები	<p>ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა და განვითარება, ნარჩენების მართვა - ორგანული კომპოსტის მომზადება, ენერგოეფექტური კონცეფცია</p>
უნგრეთი	Kistücsök რესტორანი (Balatonszemes)	<p>ეკო ფაქტორის გათვალისწინება სასტუმროს მშენებლობის დაგეგმარებაში. ლიდერის ხედვა "ჭკვიანი სასტუმრო"-ს შექმნა.</p>
ავსტრია	სასტუმრო რამადა გრაცი Hotel Ramada Graz	<p>ინოვაციური ტექნოლოგიის გამოყენება CO²-ის შემცირებაში</p>
	სასტუმრო-რესტორანი - Retter Seminar	<p>ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების ინოვაციური ტექნოლოგია</p>
	სასტუმრო Süd - განთავსება საუზმით	<p>ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების ინოვაციური ტექნოლოგია</p>

4. საუკეთესო პრაქტიკებიდან მიღებული შედეგები

პარტნიორი ქვეყნებიდან შეგროვილი საუკეთესო პრაქტიკების შედეგები აჩვენებენ, სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიაში საწარმოები თუ როგორი დიდი ძალისხმევით მუშაობენ ეკო-ინოვაციური ბიზნეს მოდელების სფეროში. ერთმანეთთან შედარების შემთხვევაში ჩანს ტურისტული ორგანიზაციების ეკო-ინოვაციის თვალსაზრისით სხვადასხვა სახის აქტივობები. მაგრამ ყველა მათგანმა პარტნიორ ქვეყნებში შემოიტანა მნიშვნელოვანი წვლილი Eco-Mode პროექტის - “ეკო-ინოვაციური ბიზნეს მოდელის განვითარების ხელშეწყობა სტუმარმასპინძლობაში მცირე და საშუალო საწარმოებისათვის” შედეგი - 1-ის საბოლოო ანგარიშის გამოქვეყნებაში.

საუკეთესო პრაქტიკის კოლექცია შეიძლება დაჯგუფდეს საერთო თემის მიხედვით, რაც გამოხატავს სირთულისა და ჩართულობის ხარისხს, რომელიც აუცილებელია ეკო ინოვაციური ბიზნეს მოდელებისათვის:

- ეკო-ცნობიერების დაგეგმვა სტუმარმასპინძლობაში, ეკოლოგიური პროდუქტების გამოყენებით, რომლებიც ზიანს არ აყენებს ჯანმრთელობას, როგორც რადონ-VOC-ის ან ფორმალდეჰიდის თავისუფალი სამშენებლო მასალების ან ეკო-ინოვაციური გადაწყვეტილებების განხორციელება ენერჯის დაზოგვისა და CO₂ ემისიების შემცირებისთვის, არის პირველი ნაბიჯი ეკოლოგიურად სუფთა გარემოს ჩამოყალიბებისათვის. მაგრამ ეკოლოგიური შენობა ჯერ კიდევ ძვირია. გარდა ამისა, შენობა-ნაგებობების ადგილმდებარეობის დასადგენად მზისგან ბუნებრივი განათების მაქსიმალური გამოყენების მიზნით და ფართო ფანჯრის ზედაპირების დაგეგმვა ყოველთვის არ არის შესაძლებელი ან გაგრილების ვენტილაციის სისტემა, რათა თავიდან აიცილოთ კონდიციონერების და შემცირდეს ენერჯის მოხმარება, წინასწარი დაგეგმვა ყველაზე ეფექტური გადაწყვეტაა და არის მიზანშეწონილი ეკოლოგიურად სუფთა მომავლისათვის.



- სხვა, ნაკლებად ძვირი და ნაკლებად რთული ეკო ინოვაციური ბიზნეს მოდელის რეალიზაციისათვის განიხილება ენერჯის დაზოგვა, როგორც კრიტერიუმი. მაგალითად, მზის პანელები საშუალებას იძლევა სუფთა ენერჯის წარმოებისა და ხდება ენერჯის მნიშვნელოვანი დაზოგვა, როგორც შენობის განათებისა, ასევე გათბობის პროცესში. ბიომასის სითბოს სადგური და დაბალ ტემპერატურიანი გათბობა კიდევ ერთი გადაწყვეტაა საკითხის. სტუმრებისთვის ოთახის გათბობის დისტანციური მართვა და ოთახის გათბობა შეიძლება იყოს კარგი გამოსავალი ენერგომოხმარების შემცირებისა და გარემოსდაცვითი საკითხების შესასწავლად. სინათლის გუმბათები, მზის ნათურები და LED ნათურები მუდმივად ამცირებენ ენერგომოხმარებასაც.
- ეკო ინოვაციური ბიზნეს მოდელები დაფუძნებულია განხორციელების ბევრად უფრო იაფ და მარტივ ღონისძიებებზე, შეიძლება ათვისებული იყოს სტუმარმასპონდლობის ინდუსტრიაში შემავალი ნებისმიერი ორგანიზაციის მიერ, რომელიც ხელს უწყობს ტურისტებს შორის ეკოლოგიური შეგნების ამაღლებას. მათ შორის არის პლასტიკური შეფუთვისა და ზოგადად ნარჩენების გადამუშავების საკითხები, ოთახებსა და საერთო აბაზანებში საპნის კონტეინერის ან საუზმისას საკვების გამანაწილებელი სისტემის გამოყენება. ამის გარდა კარგად მოფიქრებული და ორგანიზებული კომუნიკაცია თანამშრომლებსა და კლიენტებთან, ხელს შეუწყობს ოთახებში ქაღალდისა და წყლის მოხმარების რაოდენობის შემცირებას, ენერჯის დაზოგვის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, ეს არის იაფი და ადვილად დასანერგი საშუალება, რომელიც შეიძლება იყოს გამოყენებული ეკო-ინოვაციურ ბიზნეს მოდელში ნებისმიერი ტიპის განთავსებასთან დაკავშირებით.

5. დასკვნები

საუკეთესო პრაქტიკებიდან მიღებული დასკვნები რომლებიც მიუთითებენ მთელ რიგ კვლევებსა და პროექტებზე, შესრულდა სასტუმროების მენეჯერების მიერ ყველა პარტნიორ ქვეყანაში და არის ჯამში 12. საშუალოდ თითოეული ქვეყნისთვის ორი ფირმის ანალიზს მოიცავს. თითოეულმა კომპანიამ შეიმუშავა სხვადასხვა სახის ეკო-ინოვაცია - ინოვაციური პროდუქტი/სერვისიდან დაწყებული პროცესის, მარკეტინგის ან ორგანიზაციული ინოვაციის, ეკო-ინოვაციური გადაწყვეტილებებით დამთავრებული.

ეკო-ინოვაციური ბიზნეს მოდელები ძირითადად ფოკუსირებულია ენერჯის შენარჩუნებასა და ნარჩენების გადამუშავებაზე და ითვალისწინებს ინოვაციურ პროცესს ან ინოვაციურ პროდუქტს/სერვისს. მათგან მხოლოდ მცირე რაოდენობა არის ორიენტირებული ინოვაციურ მარკეტინგზე და ორგანიზაციულ ინოვაციაზე. მცირე რაოდენობა საუკეთესო პრაქტიკებისა არის ინოვაციური ყველა პარტნიორ ქვეყანაში ჯერ კიდევ არის მისი დანერგვის შესაძლებლობა.